სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

14243279908313

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131290424

რეგისტრაციის თარიღი

11.12.2013 წ

ნოტარიუსი: ნუნუ გინტური
მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #47
ტელეფონი: 2935425

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათასცამეტი წლის თერთმეტ დეკემბერს მე, ნოტარიუსს **ნ. გინტურს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47-ში, მომმართა **სს სისთემ ინშაათ-ის წარმომადგენლობა საქართველოში "სისთემ ინშაათ ჯორჯია"-ს** (რეგისტრირებული 07/08/2007 წელს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი: 202404219, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზ. №117) დირექტორმა ბატონმა **ალი ფერდა ბენერმა** და მის მიერ არჩეულმა თარჯიმანმა ქალბატონმა **ნანა მამულაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს ბატონ **ალი გაჯიევს** და ამისათვის სათანადო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ალი ფერდა ბენერმა** (დაბადებული 06.01.1970 წელს, დაბადების ადგილი – სტანბული, მისამართი: ქ. სტანბულის ქადიქოის რაიონის საჰრაიჯედით თუჯჯარბაში სოქ. №11, ბინა 19, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი **U 02897782**, გაცემის თარიღი: 05.08.2011წ. მოქმედების ვადა: 05.08.2021წ.) და **ნანა მამულაშვილმა** (დაბადებული 07.06.1966 წელს ბათუმში, მისამართი: ქ. თბილისი, ალ. წულუკიძის III შეს. №4, ბინა 15, პირადი №01008003775, პ/მ №გ 1429601, გაც. 14.04.2011 წელს სრს ისანი-სამგორის სამსახურის მიერ) მომმართეს. მე დავადგინე ის ფაქტი, რომ **ალი ფერდა ბენერი** ფლობს თურქულ ენას. მე გავაფრთხილე თარჯიმანი **ნანა მამულაშვილი**, რომ იგი პასუხისმგებელია თარგმანის სიზუსტეზე. თარჯიმანმა **ნანა მამულაშვილმა** დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის თურქული ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.მე შევამოწმე **ალი ფერდა ბენერის** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **სს სისთემ ინშაათ-ის წარმომადგენლობა საქართველოში "სისთემ ინშაათ ჯორჯია"**, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის ნომერი: 653322, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13085040, ამონაწერის მომზადების თარიღი: 27/08/2013 10:49:44, საიდენტიფიკაციო კოდი: 202404219. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე **ალი ფერდა ბენერის** ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. **ალი ფერდა ბენერმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასცამეტი წლის თერთმეტი დეკემბერი. **სს სისთემ ინშაათ-ის წარმომადგენლობა საქართველოში "სისთემ ინშაათ ჯორჯია"-ს** (რეგისტრირებული 07/08/2007 წელს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი: 202404219, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზ. №117) დირექტო ბატონმა **ალი ფერდა ბენერმა** (დაბადებული 06.01.1970 წელს, დაბადების ადგილი – სტანბული, მისამართი: ქ. სტანბულის ქადიქოის რაიონის საჰრაიჯედით თუჯჯარბაში სოქ. №11, ბინა 19, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი **U 02897782**, გაცემის თარიღი: 05.08.2011წ. მოქმედების ვადა: 05.08.2021წ.), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი", **ალი გაჯიევს** (დაბადებული 09.11.1982წ. თბილისში, მისამართი: თბილისი, დ. ჟღენტის ქ. №130, პირადი №01020009037, პ/მ №გ 1173052, გაც. 03.06.2008წ. სრს ნაძალადევის სამსახურის მიერ), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: "მინდობილი პირი" უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციებთან, ქ. თბილისის მერიაში, არქიტექტურის

სამსახურში და სხვა შესაბამის დაწესებულება-ორგანიზაციებში და მესამე პირებთან ურთიერთობებში, აწარმოოს მოლაპარაკებები, შეადგინოს, წარადგინოს და მიიღოს დოკუმენტაცია, მიიღოს გადაწყვეტილებები, პარტნიორთა კრების ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად საზოგადოების სახელით იყიდოს და/ან გაყიდოს ნებისმიერი სახის ქონება, ხელი მოაწეროს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებს, დაარეგისტრიროს ხელშეკრულებები შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში, გამოიყენოს საზოგადოების ბეჭედი, წარადგინოს და მიიღოს ოფიციალური დოკუმენტაცია; მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია მიმნდობის სახელით ჩააბაროს და ხელზე მიიღოს გადაწყვეტილებები, ცნობები და ინფორმაციები, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას. ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად **ალი გაჯიევი** უფლებამოსილია მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით – ორი (2) წლით და ძალაშია ორიათასთხუთმეტი (2015) წლის თერთმეტი (11) დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ. გინტურის სანოტარო არქივში, მდებარე ქ. თბილისი, მ. კოსტავას 47, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობს“.

წინამდებარე მინდობილობა „მიმნდობს“ ხმამაღლა წაუკითხა ნოტარიუსმა. „მიმნდობმა“ მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ათი (10) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 (2011 წლის 29 დეკემბერი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, აგრეთვე დ.ღ.გ. ერთი (1) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: ცამეტი (13) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი.

მიმნდობი: ALI FERDA BENER

თარჯიმანი: / ნანა მამულაშვილი /

ნოტარიუსი: / ნ. გინტური /